

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
21.06.2002 წლის N 1571-III ს დადგენილებით

ბავშვთა უფლებების შესახებ
კონვენციის დამატებითი ოქმი

შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ

მოცემული ოქმის მონაწილე სახელმწიფოები,
მოსარულნი არიან რა ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის ფართო
მხარდაჭერით, რაც დასტურდება იმ საყოველთაოდ ცნობილი არსებული
ვალდებულებებით, რომლებიც განეკუთვნებიან ბავშვთა უფლებების ხელშეწყობასა
და დაცვას,

ხელახლა ადასტურებენ რა, რომ საჭიროა ბავშვთა უფლებების
განსაკუთრებული დაცვა, მოუწოდებენ რა ბავშვთა მდგომარეობის მუდმივი
გაუმჯობესებისაკენ მათი განსხვავების გარეშე, ასევე მათი განვითარებისა და
განათლებისაკენ მშვიდობიან და უსაფრთხო პირობებში,

შეშფოთებულნი არიან რა ბავშვებზე შეიარაღებულ კონფლიქტთა მავნე და
ფართომასშტაბიანი ზეგავლენისა და იმ ხანგრძლივი შედეგების გამო, რომლებიც ხელს
უშლის მტკიცე მშვიდობას, უსაფრთხოებასა და განვითარებას,

გმობენ რა ბავშვთა ჩარევას შეიარაღებულ კონფლიქტში, ასევე საერთაშორისო
სამართლის მიერ დაცულ ობიექტებზე უშუალო თავდასხმებს, იმ ობიექტების ჩათვლით,
სადაც ჩვეულებისამებრ ბავშვების დიდი რაოდენობა იმყოფება – სკოლები ან
საავადმყოფოები,

აღნიშნავენ რა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუსის
მიღებას, კერძოდ ისეთ ქმედებათა კვალიფიკაციას სამხედრო დანაშაულად, რაც
დაკავშირებულია 15 წლამდე ასაკის ბავშვთა სამხედრო სამსახურში გაწვევასთან ან
მათი მობილიზაციასთან, აგრეთვე მათ აქტიურ გამოყენებასთან საომარ მოქმედებებში,
როგორც საერთაშორისო, ასევე არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში,

თვლიან რა, რომ ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციაში აღნიშნულ
უფლებათა უფრო ეფექტური განხორციელებისათვის საჭიროა გაძლიერებულ იქნას
ბავშვთა დაცვა შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეობისაგან,

აღნიშნავენ რა, რომ ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის I მუხლი
ითვალისწინებს იმას, რომ მოცემული კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება 18
წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, გარდა იმ შემთხვევისა თუ შესაბამისი კანონით
ბავშვი არ აღწევს სრულწლოვანებას უფრო ადრე,

დარწმუნებულნი არიან რა, რომ კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც ბრდის
შეიარაღებულ ძალებში შესაძლო გაწვევასა და მათ სამხედრო მოქმედებებში
მონაწილეობის ასაკს, ეფექტურად შეუწყობს ხელს იმ პრინციპის განხორციელებას,
რომლის მიხედვითაც ბავშვებთან დაკავშირებული ყველა მოქმედება უპირველეს
ყოვლისა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ინტერესების განსაკუთრებულ დაცვას,

აღნიშნავენ რა, რომ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ოცდამეექვსე

საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც შედგა 1995 წლის დეკემბერში, კერძოდ რეკომენდაცია გაუწია კონფლიქტთა მონაწილე მხარეებს გადადგან ყველა შესაძლო ნაბიჯი იმისათვის, რომ 18 წლამდე ასაკის ბავშვებმა მონაწილეობა არ მიიღონ სამხედრო მოქმედებებში,

მიესალმებიან რა ბავშვთა შრომის ყველაზე უარესი ფორმების სასწრაფო აღმოფხვრისა და მათი აკრძალვის შესახებ საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის N 182 კონვენციის ერთსულოვნად მიღებას, 1999 წლის ივნისი, რომელიც ამასთანავე კრძალავს ბავშვთა იძულებით და სავალდებულო დაქირავებას მათი შეიარაღებულ კონფლიქტებში გამოყენების მიზნით,

შეშფოთებით გამოხატა ბავშვთა დაქირავებას, წვრთნასა და მათ გამოყენებას საომარ მოქმედებაში სახელმწიფოს შიგნით და მის გარეთ იმ შეიარაღებული ჯგუფების მიერ, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს და აღიარებენ რა იმ პირთა პასუხისმგებლობას, ვინც ქირაობს, წვრთნის და იყენებს ბავშვებს ამ მიზნით,

მოუწოდებენ რა შეიარაღებული კონფლიქტის თითოეულ მხარეს განახორციელოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დებულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები,

ხაზს უსვამენ რა, რომ მოცემული ოქმი მიიღეს არ აყენებს გავრცელებას წესდების მიზნებსა და პრინციპებს, და ჰუმანიტარული სამართლის შესაბამის ნორმებს, 51-ე მუხლის ჩათვლით,

მხედველობაში იღებენ რა, რომ მშვიდობისა და უსაფრთხოების პირობები, რომლებიც დამყარებულია წესდებაში მოცემული მიზნებისა და პრინციპების სრულ პატივისცემაზე, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში არსებულ ხელშეკრულებათა შესრულებაზე, წარმოადგენს ბავშვთა დაცვის უცილობელ პირობას, განსაკუთრებით შეიარაღებული კონფლიქტებისა და უცხოური ოკუპაციის დროს,

აღიარებენ რა მოცემული ოქმის საწინააღმდეგოდ, იმ ბავშვთა განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს, რომლებიც მათი ეკონომიკური ან სოციალური მდგომარეობისა ან სქესის გამო, განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან მათი დაქირავებისა და სამხედრო მოქმედებებში გამოყენების მიმართ,

შეგნებული აქვთ რა, გაითვალისწინონ შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მიზეზები,

დარწმუნებულნი არიან რა, რომ აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება მოცემული ოქმის განხორციელებისა და შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლი ბავშვთა ფიზიკური და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის მიზნით,

მიესალმებიან რა საზოგადოების და განსაკუთრებით შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლ ბავშვთა მონაწილეობის ოქმით განსაზღვრულ საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამის გავრცელებაში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ სათანადო ზომებს, რომ მათ შეიარაღებულ ძალებში 18 წლამდე ასაკის პირებმა არ მიიღონ პირდაპირი მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში.

მუხლი 2

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ 18 წლამდე ასაკის პირები არ იყვნენ გაწვეულნი სავალდებულო შეიარაღებულ ძალებში.

მუხლი 3

1. მონაწილე სახელმწიფოები გაზრდიან თავიანთ ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში ნებაყოფლობითი გაწვევის ასაკს ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ ასაკთან შედარებით, ამ მუხლში მოცემული პრინციპების გათვალისწინებით და იმის აღიარებით, რომ 18 წლამდე ასაკის პირები უნდა იყვნენ განსაკუთრებულად დაცულნი ძალდატანებითი ან იძულებითი გაწვევისაგან.

2. თითოეული მონაწილე სახელმწიფო მოცემული ოქმის რაგიფიცირებისა ან მასთან მიერთებისას, შესაძლებელია გადასცემს სავალდებულო ხასიათის განაცხადს, რომელშიც განსაზღვრული იქნება შეიარაღებულ ძალებში გაწვევის მინიმალური ასაკი და ის დამცველი ზომები, რომლებიც მიღებულ იქნა ძალდატანებით ან იძულებით ხასიათის გაწვევის თავიდან აცილების მიზნით.

3. ის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც ნებას რთავს ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში 18 წლამდე ასაკის პირთა გაწვევას, უნდა წარმოადგინოს გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ:

ა) ასეთი გაწვევა აგარებდეს ჭეშმარიტად ნებაყოფლობით ხასიათს;

ბ) ასეთი გაწვევა ხორციელდებოდეს მოცემული პირის მშობელთა ან კანონიერ მეურვეთა თანხმობით;

გ) ეს პირები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი სამხედრო სამსახურთან დაკავშირებულ მოვალეობებზე;

დ) ასეთმა პირებმა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე უნდა წარმოადგინონ თავიანთი ასაკის დამადასტურებელი მოწმობა.

4. თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია გააძლიეროს თავისი განაცხადი გაეროს გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინების მიწოდებით, რომელიც თავის მხრივ შეატყობინებს ამის შესახებ ყველა მონაწილე სახელმწიფოს, ეს შეტყობინება ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების დღიდან.

5. მოცემული მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია მოთხოვნა ასაკის გაზრდის შესახებ. ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 28-ე და 29-ე მუხლების შესაბამისად, არ ვრცელდება მონაწილე სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალთა დაქვემდებარებაში ან მისი კონტროლის ქვეშ მყოფ სასწავლო დაწესებულებებზე.

მუხლი 4

1. შეიარაღებულმა ჯგუფებმა, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს, არანაირ ვითარებაში რ უნდა დაიჭიროონ ან გამოიყენონ სამხედრო მოქმედებებში 18 წლამდე ასაკის პირები.

2. მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ყველა შესაბამის ზომებს ამგვარი დაჭირავებისა და გამოყენების აღკვეთისა და ასეთი პრაქტიკის აკრძალვის მიზნით.

სათანადო სამართლებრივი ზომების მიღების ჩათვლით.

3. ამ მუხლის გამოყენება მოცემული ოქმის შესაბამისად მიანს არ მიაყენებს შეიარაღებული კონფლიქტის არც ერთი მხარის სამართლებრივ სტატუსს.

მუხლი 5

მოცემული ოქმი არ ზღუდავს მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმ დებულებების შესრულებას, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვთა უფლებების ეფექტურ განხორციელებას.

მუხლი 6

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო თავისი იურისდიქციის შესაბამისად მიიღებს სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა სათანადო ზომებს მოცემული ოქმის დებულებების ეფექტურად განხორციელებისა და გამოყენების მიზნით.

2. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ მოცემული ოქმის პრინციპებისა და დებულებების სათანადო საშუალებებით გავრცელება და პროპაგანდა ბავშვთა და მოზრდილებს შორს.

3. მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ შესაბამის ზომებს რათა ის პირები, რომლებმაც ვრცელდება მისი იურისდიქცია მოცემული ოქმის საწინააღმდეგოდ, დაქირავებულ ან გამოყენებულ იქნენ სამხედრო მოქმედებებში. დემობილიზებულ ან განთავსებულ იქნან სამხედრო სამსახურიდან. საჭიროების შემთხვევაში მონაწილე სახელმწიფოები აღმოუჩინენ ამ პირებს ყოველგვარ საჭირო დახმარებას მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღდგენისა და მათი სოციალური რეინტეგრაციის მიზნით.

მუხლი 7

1. მონაწილე სახელმწიფოები ითანამშრომლებენ მოცემული ოქმის განხორციელების, ამასთანავე ოქმით არ გათვალისწინებული ნებისმიერი ხელისშემშლელი საქმიანობის თავიდან აცილებისა და კონფლიქტის მსხვერპლ პირთა რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის მიზნით. გექნიკური თანამშრომლობისა და ფინანსური დახმარების ჩათვლით. ამგვარი დახმარება და თანამშრომლობა განხორციელდება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებთან და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციების მეშვეობით.

2. მონაწილე სახელმწიფოები, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო საშუალება, აღმოუჩინენ ამგვარ დახმარებას არსებული ორმხრივი, მრავალმხრივი და სხვა პროგრამების ან ამასთანავე, გენერალური ასამბლეის წესების შესაბამისად, ნებაყოფლობითი ფონდის დაარსების გზით.

მუხლი 8

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო მოცემული ოქმის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში ბავშვთა უფლებების კომიტეტს წარუდგენს მოხსენებას, რომელიც

შეიცავს ინფორმაციას ამ მონაწილე სახელმწიფოს მიერ მოცემული ოქმის დებულებების განხორციელების მიზნით მიღებული ზომების შესახებ იმ ზომების ჩათვლით, რომლებიც მიღებულ იქნა შეიარაღებულ ძალებში მონაწილეობისა და გაწვევის შესახებ დებულებათა განხორციელების მიზნით.

2. მოხსენების წარდგენის შემდეგ კონვენციის 44-ე მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფომ ბავშვთა უფლებების კომიტეტს უნდა წარუდგინოს ოქმის განხორციელებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია. მოცემული ოქმის სხვა მონაწილე სახელმწიფოები წარადგენენ მოხსენებას ხუთ წელიწადში ერთხელ.

3. ბავშვთა უფლებების კომიტეტს შეუძლია მოსთხოვოს მონაწილე სახელმწიფოს მოცემულ ოქმის განხორციელებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

მუხლი 9

1. მოცემული ოქმი ღიაა ხელმოსაწერად კონვენციის მონაწილე ან ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელმაც ხელი მოაწერა ამ კონვენციას.

2. მოცემული ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას და ღიაა მასთან ნებისმიერი სახელმწიფოს მიერთებისათვის. სარატიფიკაციო ან მიერთების სიგელები შესანახად გადაცემა გაეროს გენერალურ მდივანს.

3. გენერალური მდივანი, როგორც კონვენციისა და ოქმის დეპოზიტარი, მე –13 მუხლის შესაბამისად, აცნობებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს და იმ სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერა ამ კონვენციას, ყოველი დეკლარაციული აქტის შესახებ.

მუხლი 10

1. მოცემული ოქმი ძალაში შევა მათე სარტიფიკაცია სიგელის ან მიერთების აქტის შესანახად გადაცემიდან სამი თვის შემდეგ.

2. თითოეული იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც მოახდინა მოცემული ოქმის რატიფიკაცია ან მიუერთდა მას ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, მოცემული ოქმი ძალაში შევა ამ სახელმწიფოს სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის შესანახად გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ.

მუხლი 11

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოცემული დენონსირება ნებისმიერ დროს, გაეროს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების გზით, რომელიც აცნობებს ამის შესახებ კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს და იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ კონვენციას, დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ შეტყობინებს მიღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ. მაგრამ თუ ამ ვადის გასვლის დღეს იმ მონაწილე სახელმწიფოში, რომელიც ახდენს დენონსირებას ადგილი აქვს შეიარაღებულ კონფლიქტს, დენონსაცია არ შევა ძალაში ამ კონფლიქტის დასრულებამდე.

2. დენონსაცია, ძალაში შესვლამდე, არ ათავისუფლებს მონაწილე სახელმწიფოს მოცემული ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან, ამგვარი დენონსაცია, არანაირ ვითარებაში ხელს არ შეუშლის იმ ნებისმიერი საკითხის შემდგომ განხილავს, რომელიც უკვე იხილებოდა კომიტეტის მიერ დენონსაციის ძალაში შესვლის

თარიღამდე.

მუხლი 12

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია გაეროს გენერალურ მდივანს წარუდგინოს წინადადება მოცემულ ოქმში ცვლილებების შეტანის შესახებ. გენერალური მდივანი შესაგანი ცვლილებების შესახებ აცნობებს მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს, რომ მათ შეაგყობინონ მხარს უჭერენ თუ არა მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევას ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული შემოთავაზებული წინადადებების განხილვის მიზნით. იმ შემთხვევაში თუ, მონაწილე სახელმწიფოების არანაკლებ ერთი მესამედი მხარს დაუჭერს კონფერენციის ჩატარებას. გენერალური მდივანი მოიწვევს კონფერენციას გაეროს ეგიდით. ნებისმიერი შესწორება კონფერენციაზე, რომელიც მიიღება დამსწრე მონაწილე სახელმწიფოთა ხმების უმრავლესობით წარედგინება გენერალურ ასამბლეას დასამტკიცებლად.
2. მოცემული მუხლის I პუნქტის თანახმად მიღებული შესწორება ძალაში შევა გაეროს გენერალურ ასამბლეისა და ოქმში მონაწილე სახელმწიფოების ორი მესამედის მიერ შესწორების მოწონებისა და მიღების შემდეგ.
3. შესწორებას, ძალაში შესვლის შემდეგ, სავალდებულო ძალა ექნება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს ეს შესწორება, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებზე გავრცელდება მოცემული ოქმის დებულებები და მათ მიერ აღრე მიღებული შესწორებები.

მუხლი 13

1. მოცემული ოქმი, რომლის არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ტექსტებს თანაბარი ძალა გააჩნიათ, შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.
2. გაეროს გენერალური მდივანი მოცემული ოქმის დამოწმებულ ასლებს გადასცემს კონვენციის ყველა მონაწილე სახელმწიფოს და იმ სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერა ამ კონვენციას.